დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან რეხვიაშვილი

წევრები:

მანანა ჩიკვაიძე

თეა ელერდაშვილი

ნინო გულმაგარაშვილი

ია გაგნიძე

ნინო ბერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მორის გუმბარაძე ელისო ვადაქარია ნატო გერგაია კობა დეკანაძე ნათია ბრეგაძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის 150 საჯარო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202051493

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
იურიდიული მისამართი	ო.დგებუაძის ქუჩა, 8
ფაქტობრივი მისამართი	ო.დგებუაძის ქუჩა, 8
საფოსტო ინდექსი	**0102**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ჰტტპ://წწწ.150.გე
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi150@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 2 95 14 84

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N1023475, 22.08.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	12-13 ოქტომბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი ო.დგებუაძის ქუჩა, N 8
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი ო.დგებუაძის ქუჩა, N 8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი ო.დგებუაძის ქუჩა, N 8

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 12-13 ოქტომბერს სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისისი N150 საჯარო სკოლაში შედგა ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტი. სკოლაში ადგილზე იმყოფებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან რეხვიაშვილი, ჯგუფის წევრი ექსპერტი მანანა ჩიკვაიძე და საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტი თეა ელერდაშვილი. დანარჩენი საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის მასწავლებლებს ონლაინ, კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.ჯგუფის წევრების ერთობლივი მუშაობით შეიქმნა დასკვნა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის თბილისის N150 საჯარო სკოლამ მოაწილეობა მიიღო საერთაშორისო და ეროვნული მასშტაბის პროექტებში: eTwinning - ის საერთაშორისო პროექტები: „ BE GREEN. Stop Climate Changes", რომელსაც მიენიჭა ეროვნული ხარისხი და საქართველოს მასშტაბით დაიკავა პირველი ადგილი და „აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციები დიდ ბრიტანეთში", Minecraft Education Edition -ის საგანმანათლებლო მიზნებით დანერგვა სკოლაში;

- eTwinning - ის საერთაშორისო პროექტები: „ BE GREEN. Stop Climate Changes"(მიენიჭა ეროვნული ხარისხი და საქართველოს მასშტაბით დაიკავა პირველი ადგილი);
-
- პროექტი "Media Literacy and Our Community"
- Minecraft Education Edition -ის საგანმანათლებლო მიზნებით დანერგვა სკოლაში;
- "My Engineer Hands" - პროექტის მიზანი: მოსწავლეებმა ისწავლონ მიწისძვრის შესახე, განუვითარდეთ ადამიანური ღირებულებები, როგორებიცაა სიკეთე, ეთიკა, კეთილგანწყობა და შემწყნარებლობა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მუშავდება STEM მიდგომა.

"დებატების კლუბი", რომლის მოღვაწეობის მიზნებია: მოსწავლეებს განუვითაროს 21-ე საუკუნის უნარები: თავისუფალი, კრიტიკული აზროვნება,ემპათიის, მოსმენის კულტურის, სხვისი აზრის პატივისცემის, თანამშრომლობის უნარები.
ხელი შეუწყოს მოსწავლეს ჩამოყალიბდეს კარგ ორატორად, რომელსაც შეუძლია საკუთარი აზრის სწორად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება და დაცვა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ✓ ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1800	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწყებითის პროგრამა შეფასდა სრულად, საბაზო და საშუალო-მეტწილად.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N2		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაშ დასახელებულ ვადაში, 15.11.2024-მდე მოიპოვოს სკოლ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის დასკვნა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხური**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის გამხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში 15.11.2024 -მდე დაასრულოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის შექმნა-აღჭურვა.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საშუალო საფეხური**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის გამხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმი[illegible] წარმოდგენილ ვადებში 15.11.2024 -მდე დაასრულო[illegible] საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის შექმნ[illegible] აღჭურვა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას დ პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა სამუშაოდ აიყვანოს შრომ უსაფრთხოების სპეციალისტი.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი N2.1.2.2		
ინდიკატორი N2.1.2.2		
ინდიკატორი N 2.2.2.1		
ინდიკატორი N ***2.3.1.1***		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1		
ინდიკატორი N2.3.1.3		

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, კერძოდ:
1. ვიზიტის დროს სკოლის მასწავლებლებს არ ჰქონდათ ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ; სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მასწავლებლებმა წარადგინეს სკოლაში აღნიშნული ცნობები; აქედან გამომდინარე, 3.1.2.3. ინდიკატორი შეუსაბამობიდან გადავიდა სრულ შესაბამისობაში;

2. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების გეგმა; სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მას აქვს საგანგებო სიტუაციების გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან;
სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა/მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა ასეთი მიწერილობა და გეგმა პრობლემების აღმოფხვრის შესახებ; შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა მოაგვარებს ამ პრობლემებს 2024 წლის 15 ნოემბრამდე.
ამ ფაქტებიდან გამომდინარე, 3.4.1.1. ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.
4. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლამ მიმართა წერილით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარების თხოვნით. შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა მოაგვარებს ამ პრობლემას 2024 წლის 15 ნოემბრისთვის.

5. სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმში შემდეგი მონაცემები:
საბაზო საფეხური: სკოლას არ წარმოუდგენია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების
(ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) საგნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების არცერთი რუბრიკა,
რომელიც სტანდარტის შესაბამისად შეაფასებს გრძელვადიან მიზნებს. ქიმიის VIII და IX კლასების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებსა და მოცემულ კომპლექსური დავალების ბარათებს შორის არ არის შესაბამისობა. საბაზო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია) საგნებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
საშუალო საფეხური:
სკოლას არ აქვს წარმოდგენილი XI კლასის ქიმიის კურიკულუმი; სკოლას არ წარმოუდგენია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) საგნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების არცერთი რუბრიკა, რომელიც სტანდარტის შესაბამისად შეაფასებს გრძელვადიან მიზნებს. შეფასების რუბრიკებში გაწერილი სამიზნე ცნება/ქვეცნება თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან.
შესაბამისობის გეგმის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა მოთხოვნილი მასალები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
რაც შეეხება ლაბორატორიის აღჭურვილობას, სკოლამ წარმოადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც მას ექნება ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით 2024 წლის 15 ნოემბერს.
აქედან გამომდინარე, შეფასება შეუსაბამო გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლას აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის მიხედვით სკოლა მიზნად ისახავს ინკლუზიური და უსაფრთხო გარემოს შექმნას მოსწავლეთათვის, სკოლის მოსწავლეების თავისუფალ, მშვიდობისმოყვარე, კანონმორჩილ, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნებებად აღზრდას და მათ როგორც პირადი, ასევე საზოგადოების წარმატებული და ბედნიერი მომავლის შემოქმედებად ქცევას. სკოლის ხედვის მიხედვით სკოლა განიხილება კონკურენტუნარიან დაწესებულებად, რომელიც შექმნის სწავლა-სწავლების ხელშემწყობსა და მამოტივირებელ გარემოს თანაბარი ხელმისაწვდომობით, განუვითარებს მოსწავლეებს XXI საუკუნის უნარებს, რითაც ისინი შეძლებენ ღირსეული ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში.
რაც შეეხება ღირებულებებს, სკოლა ირჩევს სამოქმედოდ შემდეგ ღირებულებებს: პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, ობიექტურობა, ურთიერთპატივისცემა და გუნდურობა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. თბილისის N150 საჯარო სკოლა თავისი ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს და ხელს უწყობს დაგეგმვასა და პროცესების განხორციელებაში სასკოლო საზოგადოებისა და თემის აქტიურ ჩართულობას, აღიარებს გუნდური მუშაობის პრინციპს და ქმნის თანამშრომლობით გარემოს. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: ,,სკოლა გეგმავს და ახორციელებს პროცესებს მაქსიმალურად გამჭვირვალედ, ღიად და გუნდურად. ამით ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას და ხდის მათ მოტივირებულს. ამის კარგი მაგალითია წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება: ღია კარის დღეები პირველკლასელთათვის, სასკოლო პროექტები ონლაინ და პირისპირ სივრცეში“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.ამ მიზნით სკოლაში შეიქმნა სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა კითხვარი სკოლის საზოგადოების წარმომადგენლებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებული იქნა სკოლის მიერ მისის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსიის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.სკოლამ შეადგინა კითხვარი სასკოლო საზოგადოებისათვის იმ მიზნით, რომ შეექმნა სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები, რომლებიც გაზიარებული იქნებოდა სასკოლო საზოგადოების მიერ. კითხვარით მიღებული პასუხები გადაამუშავა სკოლის სტრატეგიული განვითარების ჯგუფმა და შედეგების გათვალისწინებით შექმნა სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც გამოიხატება როგორც სკოლის ფოიეში მოთავსებულ სტენდზე, ასევე სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებით. სკოლას შექმნილი აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა , ღირებულებები და სხვა დოკუმენტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N 150 საჯარო სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N166/ნ 12 სექტემბერი 2017 წ. ქ. თბილისი

სსიპ - ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლისათვის ალექსანდრე ცინცაძის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების ჯგუფის სექმნის შესახებ სკოის ბრძანება No1/3 -69, 25.09.2023;
- სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- სტრატეგიული დაგეგმარების კითხვარი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N166/ნ 12 სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს შემდეგ თავებს: ზოგადი დებულებები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები, სტრატეგიულ დაგეგმაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და მათი მუშაობა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც თავის მხრივ შეიცავს შემდეგ საკითხებს: სკოლის საზოგადოების გამოკითხვა, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, ინფორმაციის ორგანიზება და სტრატეგიული გეგმების იდენტიფიცირება, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, სტრატეგიული მიზნებისა და გეგმების შემუშავება, სტრატეგიული და სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმების განხორციელება და მონიტორინგი; სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობა და მათთვის ინფორმაციის გაზიარება, სტრატეგიული დაგეგმარების წესის ცვლილება. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მოცემულია ყველა ის საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიულ დაგეგმარებასა და მასში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ მიზნებს: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; სკოლის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერა; ორგანიზაციული განვითარება; სკოლის სტრატეგილული გეგმა შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3.სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლის სამოქმედო გეგმა ეყრდნობა სკოლის შვიდწლიან გეგმას და შეესაბამება მას. მეთოდოლოგია განსაზღვრავს ასევე სკოლის თვითშეფასებასა და მუდმივ მონიტორინგს, რომელსაც ეფუძნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის გეგმის მიხედვით 2023-24 სასწავლო წელს განსახორციელებელი საკითხებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება(საოფისე ინვენტარის შეძენა, კოსმეტიკური რემონტის გაკეთება, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შეძენა, დახურული სპორტული მოედნის რემონტი, წიგნადი ფონდის შევსება, მეთოდური სახელმძღვანელოების შეძენა და სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების გამდიდრება და სხვ.);
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი ჯგუფი, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე სხვებთან ერთად განიხილავს თითოეულ საკითხს და თითოეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტივობას ანიჭებს სტატუსს: ,,შესრულდა, არ შესრულდა. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები აისახება წლიურ ანგარიშში და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, აქედან გამომდინარე , აქვს მექანიზმი, რომლითაც შეუძლია განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლას აქვს ვებ-გვერდი და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში უწერია, რომ გამოიყენებს სკოლის ვებ-გვერდს და სხვა საშუალებებსაც იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა აანალიზებს თავისი საქმიანობის შედეგებს, მათ შორის, სკოლის საზოგადოების ჩართულობით. ანალიზი გამოიყენება შემდგომი განვითარების დანერგვისთვის. სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს იხილავს და აანალიზებს შედეგებს და გეგმავს სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მექანიზმებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კითხვარი სასკოლო საზოგადოებისათვის;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, რაც მოცემულია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში მოცემულია სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტი, სკოლაში ფუნქციონირებს ასევე, მრჩეველთა საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედსაბჭო, საგნობრივი კათედრები. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომელიც მოქმედებს ,,მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების“ შესაბამისად; სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში დასაქმებულთა ქცევის ნორმებს და დისციპლინურ გადაცდომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის თანამშრომელთა შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის სწორად წარმართვას. სკოლის ყველა თანამშრომელმა იცის თავისი ფუნქცია და მოქმედებს შესაბამისად, რაც იკვეთება სკოლის მიერ წარმოდგენილ ოქმებში და სხვა დოკუმენტებში. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, რაც ასევე კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან, დირექციასთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან გასაუბრებით;
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პედსაბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- კათედრების ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი თანამშრომელთა შერჩევისა და მიღების პროცედურები. ასევე, სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციური პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის დოკუმენტში: ,,ადამიანური რესურსების პოლიტიკა“ მე-10 თავი განსაზღვრავს ახალი პერსონალის საჭიროების დადგენისა და შემდეგ კონკურსის გამოცხადების წესებს. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების პოლიტიკა“ , რომელშიც აღწერილია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. ეს დოკუმენტი უზრუნველყოფს იმას, რომ სკოლაში შესაბამისი კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცესები წარიმართოს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, კონკურსანტთა შეფასების წესი და სხვა საჭირო პროცედურები. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ ,,ღია კონკურსის შემთხვევაში სკოლის დირექტორი წერს ბრძანებას საკონკურსო პირობების, კომისიის შემადგენლობის, ვადების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. საკონკურსო განაცხადი ქვეყნდება დასაქმების ვებ გვერდზე http://teacherjobs.ge . კადრის შერჩევის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის ინდიკატორია კოალიციური საკონკურსო კომისია“.
სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში არის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობები, მაგრამ არ არის უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.
სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა მასწავლებელთა ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებიც ინახება მათ პირად საქმეებში, პირად საქმეებში ინახება ასევე სხვა საკვალიფიკაციო დოკუმენტებიც. სკოლის პერსონალის შერჩევის წესი ითვალისწინებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია მათი შერჩევის დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის პერსონალი ჩართულია დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არ ხდება გადაწყვეტილებების ერთპიროვნული მიღება, მასწავლებლები ჩართულები არიან სასკოლო პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზისა და გადაწყვეტის პროცესებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლები მუშაობენ გუნდურად , ერთად გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო პროექტებს. ამასთანავე, მასწავლებლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. წარმატების აღიარება მნიშვნელოვანია სკოლის ეფექტიანობისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის, თუმცა ამავდროულად ძალიან საპასუხიმგებლო გამოწვევაა სკოლის მართვის პროცესში. სკოლის შინაგანაწესში მოცემულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები და წესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დოკუმენტი: ,,ადამიანური რესურსების პოლიტიკა“;
- ინტერვიუები სკოლის მასწავლებლებთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, რისთვისაც მას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შემდეგი დოკუმენტი: მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დებულების მიზანია სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. დებულება შედგება 5 თავისაგან: 1. ზოგადი დებულებები; 2. ხარისხის ჯგუფი; 3. მასწავლებლის შეფასება; 4. მასწავლებლის პროფესიული განვითარება; 5. დებულების დამტკიცება, ცვლილების შეტანა. ამ თვალსაზრისით სკოლაში აქტიურად მუშაობს ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მასწავლებელთა განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი გამოავლენს მასწავლებელთა განვითარების საჭიროებებს, რის საფუძველზეც სკოლა შეიმუშავებს გეგმას, თუ როგორ განახორციელოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. სკოლის ერთწლიან სამუშაო გეგმაში ჩადებულია შემდეგი განსახორციელებელი აქტივობები: თანამშრომელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარებისათვის საჭირო ტრენინგების, სემინარების , სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა და შემდეგ ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლები კათედრებზე აანალიზებენ თავიანთ საქმიანობას, აკეთებენ თვითშეფასებას, გეგმავენ ერთობლივ პროექტებსა და გაკვეთილებს, რაც მუდმივი პროცესია მათი განვითარებისათვის. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ იმის შესახებ, რომ Usaid-ის საბაზისო განნათლების პროგრამის ფარგლებში სკოლიდან შერჩეული I-VI კლასების სამი ლიდერი მასწავლებელი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს I-VI კლასების ქართულისა და მათემატიკის მასწავლებელთა ინფორმირებულობას სიახლეების შესახებ. ამას გარდა, ლიდერი მასწავლებლები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს და ქოუჩინგს სკოლის I-VI კლასების ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, რისთვისაც მას შემუშავებული აქვს შემდეგი პროცედურები: ახალი თანამშრომლის წარდგენა სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის faceboook-ის გვერდზე ინფორმაციის განთავსება ახალი კადრის შესახებ , მილოცვა და კეთილი სურვილები, ახალი კადრის ჩართვა არაფორმალურ შემეცნებით-გასართობ აქტივობებში. მაგალითად ექსკურსია, მნიშვნელოვანი თარიღების საზეიმოდ აღნიშვნა და სხვ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5.სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები თანამშრომლობითი და კოლეგიალური ატმოსფეროს შექმნით. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ხელს უწყობენ ერთმანეთის პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის ფეისბუქის გვერდი;
- სკოლის თვითშეფასება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.თბილისის 150-ე საჯარო სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი ,, ხარისხისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდის დებულება“, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფას. დოკუმენტში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს. სკოლას აქვს შემუშავებული ,,შიდა ხარისხის განვითარების მექანიზმები“, რომელ დოკუმენტშიც ვკითხულობთ, რომ სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებია: გამჭვირვალობა და გაზიარებულობა; მონაწილეობითობა; უწყვეტობა; აკადემიური კეთილსინდისიერება და თავისუფლება; ანგარიშვალდებულება. ამ დოკუმენტის მიხედვით ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელება არის ციკლური: ,,შიდა შეფასების უზრუნველყოფის პროცესების სისტემა ეფუძნება ციკლს: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“.

სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: ,,დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შემდეგ რეფლექსიებსა და ანგარიშებში ხდება განხორციელებული აქტივობების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა. სკოლის დირექცია, საგნობრივი კათედრებისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის ხელშეწყობით, გამოავლენს და შექმნის საჭიროებების ნუსხას, რომლებსაც ასახავს სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.თბილისის 150-ე საჯარო სკოლა სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომლებიც აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. შინაგანაწესში მკაფიოდ და ნათლად არის გაწერილი, კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. ეს პროცესები აღწერილია ასევე სკოლის დოკუმენტში: ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლას გაწერილი აქვს საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა დოკუმენტში: ,,სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი საჩივრის/განცხადების განხილვის მექანიზმები“, რომელიც შედგება 17 თავისაგან. დოკუმენტში სრულყოფილად და მკაფიოდაა გადმოცემული საჩივრების განხილვის მექანიზმები. დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. ამას გარდა, სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში არსებულ სტენდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.სკოლას აქვს ასევე დოკუმენტი ,, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის კანონიერი დაცვის მექანიზმები“ , რომელშიც გადმოცემულია სკოლის მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ეს დოკუმენტიც, რაც უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების ინფორმირებას აღნიშნულ საკითხებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ხარისხისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდის დებულება;
- შიდა ხარისხის განვითარების მექანიზმები;
- სკოლის თვითშეფასება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი

საჩივრის/განცხადების განხილვის მექანიზმები;

- მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის კანონიერი დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს საზოგადოების ინფორმირების მრავალფეროვანი გზები და საშუალებები, როგორებიცაა: სკოლის სტენდი, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, სკოლის ვებ-გვერდი. ამას გარდა, სკოლის მასწავლებლები იღებენ და თავადაც გასცემენ ინფორმაციას კათედრებზე, სხვადასხვა შეხვედრებზე, მშობლებს ინფორმაციას აწვდიან კლასის დამრიგებლები სხვადასხვა გზით და ა.შ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლის საზოგადოების წევრები ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრებაში. მათ აქვთ საშუალება, იყვნენ არჩეულნი და თავადაც აირჩიონ სკოლის სხვადასხვა არჩევით ორგანოში, როგორებიცაა სამეურვეო საბჭო. მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის მართვის სხვადასხვა პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფეისბუქ-გვერდი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ვებ-გვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- დამრიგებლის დებულება;
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- თვითმმართველობის ოქმები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.
სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე არ აქვს დასკვნა /მიწერილობა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა სკოლას აქვს გაგზავნილი წერილები შესაბამის უწყებებთან შესაბამისი საბუთების მისაღებად.
სკოლის ყველა სართულზე ორივე ცენტრალური კიბის უჯრედთან გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები. სკოლაში ყველა სართულზე დამონტაჟებულია განგაშის სასიგნალო სისტემა, რომელიც რეაგირებს დაკვამლიანებასა და გაზის გაჟონვაზე.
სკოლას აქვს წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ).
სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც ახორციელებს პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან

შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების გეგმა;

სკოლამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების გეგმა. რაც შეეხება დასკვნა /მიწერილობას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლა მოამზადებს შესაბამისობის გეგმის მიხედვით 2024 წლის 15 ნოემბრამდე.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფიზიკურ უსაფრთხოებას. სკოლას ჰყავს ოთხი მანდატური, რომლებიც აკონტროლებენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი. სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა ზრუნავს ამ საკითხის პრევენციაზე, რისთვისაც პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა შეხვედრებსა და პროექტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის მექანიზმები აღწერილია სკოლის დოკუმენტში: ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესი". დოკუმენტის მე-5 მუხლში აღწერილია ის პროცედურები, რომლებიც უნდა განახორციელოს სკოლამ ამ მიზნით. ესენია: კლასის საათი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა შიდა სასკოლო კონკურსის მოწყობა, სპორტული აქტივობების ჩატარება, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები, რასაც უზრუნველყოფენ სკოლის დამლაგებლები, მტუკი და ექიმი. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ სკოლას გააჩნია რეგულაციები, რომლებიც ასევე განთავსებულია სკოლის დოკუმენტის ,, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესი" მე-5 თავში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს შექმნილი და დამტკიცებული დოკუმენტი: ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმი", რომლითაც ხელმძღვანელობს და იცავს პერსონალურ მონაცემებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლებიც აღწერილია დოკუმენტში ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმი", რომელიც შეიცავს 20 მუხლს, რომლებშიც სრულყოფილად არის აღწერილი სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებები ამ მიმართულებით. დოკუმენტის მე-19 მუხლით განსაზღვრულია ის, რომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტის გაცნობა სკოლის საზოგადოებისათვის.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

7. დოკუმენტის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმი“ მე-18 მუხლი ეხება მონაცემთა დაცვის მონიტორინგს. ამ მუხლში ვკითხულობთ: სკოლაში პერსონალური დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ. დარღვევის შემთხვევაში პირი ვალდებულია აცნობოს დირექტორს დარღვევის შესახებ, რათა გატარდეს დაუყოვნებლივ შესაბამისი რეაგირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რომელიც გაცემულია 27.02,2012(ამონაწერი არ არის განახლებული) სკოლის შენობა მდებარეობს დგებუაძის ქუჩა N 8, შენობა განთავსებულია 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, შენობის ფართი არის 5200კვ.მ. სკოლის შენობა არის ოთხსართულიანი, სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის შენობის გეგმა. სკოლას აქვს 32 საკლასო ოთახი, დირექტორის ოთახი, კანცელარია, ოთახები დირექტორის მოადგილეებისთვის, სამასწავლებლო, ექიმის ოთახი, დარაჯის ოთახი, კვების ბლოკი, ოთახი მანდატურებისთვის, რესურსოთახი, მომავლის კლას-კომპიუტერული ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი, სააქტო დარბაზი, ორი დახურული სპორტული დარბაზი. საკლასო ოთახები და სხვა ოთახებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით.
სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელშიც მოთავსებულია შესაბამისი რესურსები სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლის ყოველ სართულზე განლაგებულია სველი წერტილები, მათ შორის, ერთი ადაპტირებული საპირფარეშო მეორე სართულზე, სკოლას აქვს ლიფტი, რომლითაც გადაადგილება შეეძლება შშმ პირს, თუკი ისწავლის ამ სკოლაში. ამჟამად სკოლას ეტლით მოსარგებლე მოსწავლე არ ჰყავს. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახება მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოები. სხვა ლიტერატურა სკოლას არ გააჩნია. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც მდებარეობს სკოლის შიდა ეზოში, ეზოში არის პატარა სკვერი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ როგორც თავიანთი საკლასო ოთახებით, ასევე სხვა ინფრასტრუქტურით, როგორებიცაა სპორტული დარბაზები, სააქტო დარბაზი, კომპიუტერების ოთახი, რომელშიც მოთავსებულია 12 კომპიუტერი და სმარტ დაფა, სკოლას აქვს საკონფერენციო დარბაზი, სადაც იმართება შეხვედრები და პროექტის პრეზენტაციები. ასევე, ექიმის კაბინეტი და კვების ბლოკი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში არის რესურსოთახი შესაბამისი რესურსებით, არის ადაპტირებული საპირფარეშო, არის ლიფტი, რომლითაც გადაადგილება შესაძლებელია სკოლის ყველა სართულზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4.სკოლაში არის სივრცე იმისათვის, რომ მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. მათ შორის, სახელმძღვნელოები, თვალსაჩინოებები და სხვ., რომლებიც ინახება სკოლის წიგნთსაცავში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის სართულების გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია 13 კომპიუტერით, პროექტორითა და სმარტდაფით. ამ ოთახში ტარდება როგორც ტექნოლოგიის გაკვეთილები, ისევე ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის საჭიროების შემთხვევაში.

სკოლა უზრუნველყოფილია მაღალი სიჩქარის უწყვეტი ინტერნეტით. WIFI -ს როუტერები განთავსებულია ოთხივე სართულზე. სკოლა მთლიანად არის დაფარული WIFI -ს სისტემით, რითაც მიღწეულია მოსწავლეების და მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა.

სკოლას ასევე გააჩნია Lenovo-ს ფირმის 45 ლეპტოპი და 24 პროექტორი, მათ შორის, 17 შტატივზე დამაგრებული - I-VI კლასებში, ორი ტელევიზორი, სკოლა მუშაობს ამ მიმართულებით კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად მომავალში, რათა ყველა კლასს ჰქონდეს პროექტორი და მასწავლებლებს შეეძლოთ ამ მიმართულებით კომფორტულად და შეუფერხებლად მუშაობა.

სკოლას აქვს შემუშავებული ციფრული რესურსების მართვის გეგმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.სკოლას აქვს შექმნილი ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლაში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი . გეგმაში მოცემულია სკოლის ტექნიკის აღწერილობა: სკოლას გააჩნია 45 ცალი კომპიუტერი, 7 პრინტერი, 24 პროექტორი. სამუშაო სივრცე მასწავლებლებისათვის მოწყობილია სამასწავლებლოში, სადაც დამონტაჟებულია 3 ცალი პერსონალური კომპიუტერი , სამასწავლებლო უზრუნველყოფილია Wi-Fi ინტერნეტით. საზიარო სამუშაო სივრცით სარგებლობა სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 9:00 საათიდან საღამოს 17:00-მდე

40 წუთიანი (ერთი გაკვეთილი) ლიმიტით. შაბათ-კვირას მოსწავლეებისგან შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში , გაიწერება ამ სივრცის გამოყენების რეჟიმი. მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.

მასწავლებლებისათვის განკუთვნილი საზიარო სამუშაო სივრცე მოწყობილია:

1. სამასწავლებლოში, სადაც განთავსებულია სკოლაში არსებული 3 ცალი პერსონალური კომპიუტერი;

2.კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სადაც განთავსებულია 13 (ცამეტი) ცალი დესკტოპიანი კომპიუტერი;

3. წიგნების საცავში, სადაც განთავსებულია 1 ცალი დესკტოპიანი კომპიუტერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებისათვის განკუთვნილ ტექნიკაზე ასევე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.

42 სადამრიგებლო კლასის ყველა დამრიგებელს აქვს დამრიგებლის პორტაბელური კომპიუტერი პირად სარგებლობაში. კლასში შემსვლელი საგნის მასწავლებლები, პირადი კომპიუტერის არქონის შემთხვევაში, იყენებენ დამრიგებლის კომპიუტერს.

ადმინისტრაციის ყველა წევრი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, შესაბამისად, არ დგას ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის საზიარო სამუშაო სივრცის არსებობის აუცილებლობა.

სკოლა სრულადაა დაფარული WI-FI სისტემით (School, Mes), შესაბამისად სკოლაში არსებულ ნებისმიერ სივრცეში შეიძლება ინტერნეტით სარგებლობა. ატვირთვის სიჩქარე - 47,3 მგბ, ჩამოტვირთვის სიჩქარე - 43.9 მგბ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- ვიზუალური დათვცალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც შედგება 28 მუხლისაგან და დაწვრილებით და სიზუსტით აღწერს სკოლაში მიმდინარე საქმისწარმოების პროცესს. სკოლა ახორციელებს საქმისწარმოებას წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. საქმისმწარმოებელი დარეგისტრირებულია დოკუმენტბრუნვის ერთიან სისტემაში- eflow და მინიჭებული აქვს მომხმარებლის სახელი და პაროლი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს ამ საკითხსაც. მასში აღწერილია, თუ რა პროცედურებით ხდება ელექტრონულ სისტემაში სხვადასხვა სახის დოკუმენტის: ბრძანების, წერილის, ოქმის, მოხსენებითი ბარათის, ცნობის გაცემა. სკოლა ახორციელებს საქმისწარმოებას F-flow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, სარგებლობს ინფორმაციის გაცვლის მიზნით ელექტრონული ფოსტით Tbilisi.150@ mes.gov.ge. სკოლა სარგებლობს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემით, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, მისი პერსონალის , მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საკონტაქტო ინფორმაციები. eschool-ის ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი და ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესებს. სკოლა საკუთარ გვერდს ფლობს შესყიდვების ერთიან სისტემაშიც, სადაც უფლებამინიჭებული პირი ახდენს შესყიდვების გეგმისა და სხვა საჭირო დოკუმენტების რეგისტრაცია/ასახვას. სკოლა, ისე როგორც სხვა საჯარო სკოლები, პირველკლასელთა რეგისტრაცისთვის იყენებს registracion.emis.ge-ს პლატფორმას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის მიერ შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისიტემის ყველა ველი. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი პლატფორმით (eschool), რომლის მართვასა და წვდომაზე პასუხისმგებელი პირი/პირები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ამ პლატფორმაზე სკოლას გააჩნია სრულყოფილი პროფილი. სკოლის ბარათზე განთავსებულია სკოლის მისამართი, სტატუსი, მისი საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, ცვლების რაოდენობა, საბანკო მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან და დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას.

სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ანგარიშს , აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ აქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის თვითშეფასება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს შექმნილი ვებ-გვერდი, რომლითაც ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას მასთან. ამ მიზნით სკოლა იყენებს ასევე სკოლის ფეისბუქის გვერდს და სკოლის ფოიეში განთავსებულ სტენდს. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი ,, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის წესი", რომელშიც არის აღწერილი, თუ როგორ და რა საშუალებებით ახორციელებს სკოლა კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის წესში წერია, რომ სკოლის საქმიანობის მთავარ პრინციპს წარმოადგენს გამჭვირვალობა და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.სკოლა სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლამ ჩაატარა სპეციალური გამოკითხვა, რომლის შედეგების გაანალიზების შემდეგ სკოლის შემოსასვლელში განაწესა პასუხისმგებელი პირი, რომელიც მკაცრად აღრიცხავს სკოლაში შემომსველ და გამსვლელ პირებს. ასევე, სკოლა აპირებს მომავალშიც საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით სხვა პრობლემების მოგვარებასაც.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლას აქვს აქტიური ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე:
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: 1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; 2. სკოლის სტრუქტურა; 3. სკოლის სტრატეგიული გეგმა; 4. წლიური სამოქმედო გეგმა; 5.პროგრამები, მხარდაჭერის სერვისები; 6. ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები; 7.ინფრასტრუქტურა; 8. ფინანსები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის წესი;
- სკოლის ფეისბუქის გვერდი;
- Forms-ის კითხვარი და ანალიზი;
- /facebook-ის გვერდი, მესენჯერ ჯგუფი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ფინანსურად მდგრადია. მას აქვს საშუალება ფინანსურად უზრუნველყოს დაგეგმილი ღონისძიებები. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. მისი მომზადებისას თავიდანვე უნდა განისაზღვროს: 1. სავარაუდო შემოსავლები; 2. მომდევნო წლის პრიორიტეტები; 3. სავარაუდო ხარჯები; 4. საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. ეს საკითხები გათვალისწინებული აქვს სკოლას ბიუჯეტის დაგეგმვის დროს. სკოლა წლების განმავლობაში ზრდიდა მოსწავლეტა რაოდენობას, შესაბამისად , იზრდებოდა მისი ბიუჯეტი. სკოლა აკეთებს ბოლო წლების ბიუჯეტის დინამიკას, რაც ეხმარება მას მომავალი ბიუჯეტის სწორად დაგეგმვაში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს ფინანსების დაგეგმვას, განკარგვას, მონიტორინგს და სკოლის ფინანსურ ანგარიშს, რაც ეხმარება განსაზღვროს სკოლის ფინანსური მდგრადობა და დაგეგმოს მომავალი აქტივობები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სკოლის ბიუჯეტის დინამიკა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით აქვს შექმნილი დოკუმენტი სახელწოდებით ,, მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“, რომელშიც დაწვრილებით და მკაფიოდ არის აღწერილი, თუ რა უფლებები აქვს მოსწავლეს და როგორ უნდა იქნას დაცული სკოლაში მოსწავლის კანონიერი უფლებები. დოკუმენტში აღწერილია ასევე მოსწავლის მიერ გასაჩივრების მომზადების ფორმები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტი ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“, რაც მოწმობს , რომ სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. ამაზე მოწმობს სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი, რომელიც სკოლასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისთვის (მშობელი, მასწავლებლები, ადმინისტრაცია და სხვ.), მათ შორის, მოსწავლისთვისაც არის ხელმისაწვდომი, ის გამოკრულია სკოლის ფოიეში სტენდზე.

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო. სსსმ მოსწავლეებისთვის ინდ.გეგმების შემუშავების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში არის შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი, სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებლები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.სკოლის მიერ მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა დაცვის მექანიზმები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შინაგანაწესი;

ვიზუაკური დათვალიერება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები, განსაზღვრული აქვს დოკუმენტით ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის,მობილობის, სტატუსის შეჩერების/ შეწყვეტისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და გასაჩივრების მექანიზმები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.სკოლას აქვს დოკუმენტი, ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა/ შეწყვეტისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და გასაჩივრების მექანიზმები“ რომლითაც ხელმძღვანელობს რეგულაციების შესრულებისას. სკოლა იცავს ყველა რეგულაციას და დროულად ახორციელებს მათ, რაც ასახულია ემისის ბაზაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.სკოლის მიერ სხვადასხვა ინფორმაცია გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე ფოიეში, ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის ფეისბუქის გვერდზე. დამრიგებლები და მასწავლებლები მშობლებს აცნობენ ინფორმაციას მშობლებს სოციალური ქსელებით, ტელეფონით და ინდივიდუალურ შეხვედრებზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.სკოლას ჰყავს ინფორმაციის ელექტრონულ სივრცეში გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. სკოლის ფოიეში გამოკრულ ინფორმაციას აკონტროლებს სკოლის დირექცია. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: ,,სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეყრდნობა ობიექტურ სინამდვილეს და არის გადამოწმებული. პერსონალის მიერ ინფორმაციის გავრცელება შეთანხმებულია სკოლის ხელმძღვანელობასთან, არის აკადემიური და არ შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის ფეისბუქ-გვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის თვითშეფასება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა თვითშეფასებაში წერს, რომ ახორციელებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას საჭიროების შემთხვევაში. ამისათვის სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სპეციალური დოკუმენტი ,,სკოლის ტრანზიციის სამოქმედო გეგმა“. დოკუმენტი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველში აღწერილია ახალი თანამშრომლის ტრანზიციის გეგმა, მეორეში სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის გეგმა და მესამე ნაწილში ბაღიდან სკოლაში, სკოლიდან სკოლაში ტრანზიციის სამოქმედო გეგმა. გეგმაში დეტალურად არის გაწერილი, თუ ვინ და რას აკეთებს სკოლაში იმისათვის, რომ მოსწავლეთა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომელთა ადაპტაცია ახალ სასკოლო გარემოსთან მოხდეს უმტკივნეულოდ და შესაბამისად. სკოლის სადამრიგებლო პროგრამაშიც ხაზგასმულია, რომ დამრიგებელმა უნდა უზრუნველყოს პირველკლასელთა ტრანზიციის პროგრამის ხელშეწყობა. სკოლის ფეისბუქის გვერდზე განთავსებულია პირველკლასელთათვის მოწყობილი ღია კარის დღის ამსახველი ფოტოსურათები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლაში სწავლის დაწყების დღიდან მიმდინარეობს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ზრუნავენ ამ საკითხის მოგვარებაზე . როგორც სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: ,, სკოლის დირექცია და მთელი პერსონალი ითვალისწინებს იმას, რომ სასწავლო პროცესის დაწყების წინ საჭიროა მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო პროცესთან. ამ დროს მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1.სასწავლო პროცესის დაგეგმვა და 2.ფიზიკური სასკოლო გარემოს მოწესრიგება. ამასთან, დამრიგებლები, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, გეგმავენ პირველი დღის აღმნიშვნელ არაფორმალური აქტივობებს“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.სკოლა ზრუნავს, რომ მის მოსწავლეებს ჰქონდეთ კარგი აკადემიური შედეგები. ამ მიმართულებით მუშაობა ევალებათ კლასის დამრიგებლებს, რომელთათვისაც სკოლას შექმნილი აქვს სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის დებულება. ამ დოკუმენტში მოცემულია კლასის დამრიგებლის მუშაობის პრინციპები, კლასის დამრიგებლის მოვალეობები, როგორებიცაა: მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, მშობელთა კრებების, კლასის საათის ჩატარება, მოსწავლეთათვის და მშობელთათვის სკოლის დოკუმენტაციის გაცნობა და სხვ. რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის წარმატების შესახებ ინდივიდუალურად. ასევე, სადამრიგებლო პროგრამაში წერია, რომ დამრიგებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუთი გამოჩნდა, საგნის მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან კონსტრუქციულ უკუკავშირს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, აძლევენ საჭირო რჩევებს და რეკომენდაციებს.
სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი მოსწავლეთა სარემედიაციო პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ახორციელებს მუდმივად საჭიროების შემთხვევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ხორციელდებოდება. სკოლა საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას, პატივს სცემს მის არჩევანს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპების გამოყენებას. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში, რათა შეგნებულად და წინასწარი განზრახვით ხელი არ შეეშალოს უფლებების გამოყენებას. ამ საკითხზე სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: საგნის მასწავლებლის ვალდებულებაა, მოსწავლე დროულად ფლობდეს ინფორმაციას აკადემიური მიღწევების შესახებ; კლასის დამრიგებლის მოვალეობაა დროულად აცნობოს მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაცდენებთან დაკავშირებული მოსალოდნელი შედეგები და აკადემიური მიღწევების მდგომარეობა; დირექციის უშუალო მოვალეობაა, დროულად აცნობოს მოსწავლეს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაცდენებთან დაკავშირებული სტატუსის შეჩერების ფაქტის შესახებ. სკოლა საჯაროს და ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას პირველკლასელების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ; ამისთვის სკოლის FACEBOOK-ის გვერდზე აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას ვადებისა და პროცედურების შესახებ. აგრეთვე, სკოლაში, საინფორმაციო სტენდზე განათავსებს ინფორმაციას. ამავე გზით ავრცელებს ინფორმაციას მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენ;ლებისთვის მობილობის შეზღუდვისა და ვადების შესახებ“.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5.სკოლა აცნობიერებს, რომ არაფორმალური განათლების ხელშეწყობა მოსწავლეთა განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ სკოლაში წახალისებულია სხვადასხვა არაფორმალური ღონისძიება, როგორებიცაა პროექტების განხორციელება, სტუმრობა სხვადასხვა ორგანიზაციაში, გამოფენის მოწყობა და სხვ. სკოლის ასეთი არაფორმალური ღონისძიებების ამსახველი სურათები ატვირთულია სკოლის ფოციალურ გვერდზე. ასევე, მოსწავლეთა ნახატები გამოფენილია სკოლის კედლებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6.სკოლას გააზრებული აქვს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან უნდა იღებდეს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და უნდა აფასებდეს მათ. რაც შეიძლება მიღწეულ იქნას კითხვარებში შესაბამისი კითხვების ჩადებით, კვლევის შედეგების გაანალიზებითა და პროცესების გაუმჯობესების მიზნით სათანადო რეაგირებით. ამ მიმართულებით სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება და გეგმავს ამ გამოცდილების გაუმჯობესებას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი აქტივობა. პანდემიის პერიოდში, დირექცია დაინტერესდა მოსწავლეთა ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ჩატარებული გაკვეთილების ხარისხით და Forms-ს კითხვარების საშუალებით გამოკითხა მოსწავლეები და მშობლები. მიღებული ინფორმაციის ანალიზით სკოლის დირექციამ, მისი შესაძლებლობის ფარგლებში არსებული რესურსების ფარგლებში, დაგეგმა ქმედითი ნაბიჯები ნაკლოვანი მხარეების გაუმჯობესებისათვის. მსგავსი გამოკითხვების ჩატარებას გეგმავს სკოლა მომავალშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის ტრანზიციის სამოქმედო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა და დებულება;
- სკოლის ფეისბუქის გვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთათვის კლასის საათის ფარგლებში კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის საკითხებზე დისკუსიას. სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით. როგორც სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, პანდემიამდე სკოლას აქვს მიზნობრივი სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობის გამოცდიელება დედაქალაქის საწარმოებში, როგორიცაა სს ,,თოლია“ და სს ,,იფქლი“. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების GWP-ის სათაო ოფისში სტუმრობა, სადაც მოსწავლეებს გააცნეს სასმელი წყლის გადამუშავების პროცესი.
სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლა აწვდის ინფორმაციას კლასის საათის ფარგლებში ინფორმაციას პროფესიული კოლეჯებისა და მათი პროგრამების შესახებ, ასევე, პროგრამებისა და სპეციალობების კავშირს დასაქმების ბაზართან, ბაზარზე პროფესიების მოთხოვნასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ჩატარებული კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა, თუმცა ის აპირებს ამ მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესებას და გარკვეული კვლევების ჩატარებას, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეძლებს თავისი საქმიანობის გაუმჯობესებას ამ მიმართულებით. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: ,, მომავალ სასწავლო წელს, სკოლა განახორციელებს კურსდამთავრებულთა კვლევას გაწული მომსახურების ეფექტიანობის შესახებ ანუ რამდენად დაეხმარა მათ სკოლის მიერ შეთავაზებული აქტივოებები პროფესიის არჩევაში. კურსდამთავრებულებს შევთავაზებთ ჩაშლილ კითხვარს. მაგ: რა ინფორმაცია გახდა საკვანძო და გადამწყვეტი პროფესიის არჩევაში; რა ინფორმაცია იყო არასაკმარისი; რამდენად შესაბამისობაშია წინასწარ მიღებული ინფორმაცია რეალურთან(ანუ, რაც იყო დაპირება და შთავაზება კონკრეტული სასწავლო დაწესებულებიდან აღმოჩნდა თუ არა რეალისტური). კითხვარის შედეგებს გამოვიყენებთ სამომავლოდ. სკოლაში საინფორმაციო კამპანიისთვის მოსულ სასწავლო დაწესებულებებს, მივცემთ შესაბამის მიმართულებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის თვითშეფასება;
- ინტერვიუ დირექციასთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. დოკუმენტში აღწერილია სსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. სკოლა ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, რომლებთანაც მუშაობენ 3 სპეციალური პედაგოგი და 5 სსსმ პირის ასისტენტი. სკოლას აქვს საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც უქმნის პირობებს მოსწავლეებს უკეთესი სწავლისათვის და განვითარებისათვის. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო. სკოლაში არის ლიფტი, არის ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლაში წლის დასაწყისში იქმნება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა , რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები, მათი განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები. უკვე იდენტიფიცერებულ და სტატუსის მქონე სსსმ მოსწავლეებისთვის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ისგ ჯგუფები, რომლებშიც შედიან კონკრეტული მოსწავლის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი. ისგ ჯგუფი წლის განმავლობაში იკრიბება 4-ჯერ და განიხილავს, თუ როგორ მიმდინარეობს სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესის დინამიკა, ისგ გეგმაში შესატან ცვლილებებს, სწავლის მეთოდებსა და სტრატეგიებს. თითოეული შეხვედრის დროს იქმნება ოქმი, რომელიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
სკოლის თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის
ჯგუფი, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს და ადგენს დასკვნას. ეს დასკვნა წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ანგარიშის სახით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში ინკლუზიურ განათლებაზე ხორციელდება შიდა მონიტორინგი.
სკოლა წელიწადში ერთხელ მაინც ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს და ადგენს დასკვნას. ეს დასკვნა წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიშის სახით.
სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში იმართება სხვადასხვა აქტივობები, მაგალითად, დაუნის სინდრომისა და აუტიზმის საერთაშორისო დღის აღნიშვნა და სხ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებები;
- სკოლის თვითშეფასება;
- ინტერვიუ სპეც.მასწავლებლებთან;
- ისგ მონიტორინგის ოქმი;
- ვიზუალური დათვალიერება.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს დამატებითი, არასავალდებულო მომსახურების სახით შემდეგი წრეები და სტუდიები:

- გახანგრძლივებული სწავლების სტუდია;
- ქართული ცეკვების შემსწავლელი სტუდია ,,შუშპარი“;
- მაგიდის ჩოგბურთის შემსწავლელი სტუდია;
- ხატვის შემსწავლელი სტუდია;
- საკვირაო სკოლა;
- ფორტეპიანოს შემსწავლელი სტუდია;
- ფეხბურთის შემსწავლელი სტუდია;
- სასკოლო კვების ბლოკი.

ყველა წრის და სტუდიის ფუნქციონერება შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან. ყველა წრის ფუნქციონერებისათვის სკოლას აქვს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.სკოლის დამატებითი , არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება ნებაყოფილობით და ეფუძნება მშობლებისა და მოსწავლეების მოთხოვნებსა და სურვილებს. შეთავაზებული მომსახურეობები შეთანხმებულია სკოლის კოლეგიალურ ორგანოსთან-სამეურვეო საბჭოსთან და რეგულირდება ხელშეკრულებებით, რომელთა შინაარსიდანაც ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები ნებაყოფილობითია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.სკოლის დამატებითი, არასავალდებულო მომსახურების დროს დაცულია უსაფრთხოების წესები. ამის მარეგულირებელი დოკუმენტია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც სავალდებულოა სასკოლო საზოგადოებისათვის, მათ შორის , დამატებითი, არასავალდებულო მომსახურების დროსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულებები
- შინაგანაწესი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის სასწავლო პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის აგების, დანერგვის და განვითარების პრინციპები, გამოკვეთილია მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, დირექციის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც იძლევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებების, ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლები სოციალური მედიისა და მშობლებთან შეხვედრების საშუალებით, სასწავლო წლის დასაწყისში, აცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს სასწავლო კურიკულუმს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი რესურსები ორიენტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე, პრიორიტეტებზე და შესაძლებლობებზე, შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.1.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კურიკულუმების კონცეპტუალური ჩარჩოებს შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. სკოლას დამტკიცებული აქვს 2023 -2024 წწ. სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით განსახორციელებელი ინტერვენციები, რაც ასევე გულისხმობს კურიკულუმის ჩარჩოებს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას. პედაგოგები თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ საკუთარ და ერთმანეთის გამოცდილებას, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში გაწერილია ამ მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები. შერჩეული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ინდიკატორი **2.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია თანამშრომლობით პრინციპზე დაყრდნობით, ერთმანეთის აზრისა და გამოცდილების გათვალისწინებით. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას, აცნობენ მშობლებს და ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. საგნობრივი კათედრების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა მასწავლებელი. პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ვინაიდან კურიკულუმი არის სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი მისი შემუშვება ხდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო. თავის მხრივ საბჭოში კი შედიან მშობლები და მოსწავლეთა თვითმართველობის თავჯდომარე. აღნიშნული გარემოება ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს: სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა საშუალებითაც ხდება არსებული სასკოლო, საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება სასკოლო თემთან. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებს უზიარებენ ხოლმე შეხვედრების დროს კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს. ხშირად მსჯელობენ. ასევე დამრიგებლის საშუალებით კლასის ფეისბუკ ჯგუფებში უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს, პირობას და შეფასების კრიტერიუმებს. დიდი მცდელობის შესაბამისად, მშობლები ხშირად უფრო დაწყებით კლასებში ეხმარებიან თავიანთ შვილებს კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად სხვადასხვა პროდუქტის დამზადებაში. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, რადგან ის არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწ.წ.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული გეგმა
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9 03.10.2023 წ.
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N6 04.10.2023
- დაყებითი კათედრის შემაჯამებელი ოქმი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. პედაგოგებთან გასაუბრების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ურთიერთმიმართების არსი. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არსებული კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, კომპლექსური დავალება მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის აღძვრასაც უწყობს ხელს. მაგ. მე-5 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება (თემა - მონაცემი, მონაცემთა ანალიზი) საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ვიზიტით დასრულდა.
ინდიკატორი 2.1.2.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მიზნების განხორციელებას. პედაგოგებმა ასევე ისაუბრეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ისინი დაგეგმავენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე.
ინდიკატორი 2.1.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, ისგ- გეგმები, რემედიაციის ჯგუფის მუშაობის დოკუმენტაცი, პედაგოგებთან გასაუბრება - ნათლად გვიჩვენებს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლება. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. მასზე დაფუძნებით შექმნილია ისგ- დოკუმენტი სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის მიზნით, რის ფარგლებშიც იქმნება და ხორციელდება ადაპტირებული დავალებები. მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების როლი, რის მიხედვითაც, თავის მხრივ, შექმნილია დაწყებით საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები შექმნილია მოსწავლეთა მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. მაგ: მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში მასწ. შემუშავებული აქვს 2 კომპლექსური დავალება, და როგორც გასაუბრებისას აღნიშნა, მოსწავლეებს სთავაზობს აირჩიონ დავალება. ინდიკატორი 2.1.2.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს შეფასება ეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი. კათედრებზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. დაწყებით საფეხურზე (გარდა V კლასის მეორე სემესტრი დ VI კლასი) იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებების შესაფასებელი კრიტერიუმები გამომდინარებს კონკრეტული დამუშავებული ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. ასევე აღინიშნა, რომ პედაგოგები ერთად ადგენენ ურთიერთშეფასების კითხვარს მოსწავლეებისთვის, ასევე იყენებენ შეფასების მრავალფეროვან სტრატეგიებს, როგორიცაა: „მსმენელის დღიური“, ასევე გასასვლელი და შესასვლელი ბარათები.
ინდიკატორი 2.1.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულ იქნა წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახდენენ კურიკულუმის შინაარსობრივ ცვლილებებს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა მიღწევების, შესაძლებლოებებისა და სურვილების გათვალისწინებით. ეს ეხება კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც წინა წლის გამოცდილების მიხედვით დაიხვეწა და აისახა ახალ კურიკულუმის ჩარჩოში. ყოველი აქტივობა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. მასწავლებლები ასევე მუშაობენ აღნიშნული ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს. ინდიკატორი 2.1.2.5. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- I-VI კლასების კურიკულუმების ჩარჩო
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ რეგულაციები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

•

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა - სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, პოსტერებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს ითვალისწინებენ. მოსწავლეებს შესთავაზებენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამგვარად, შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, საარზოვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწყებით საფეხურზე განხორციელდა პროექტი ,,წყლის სანიტარია" , რომლის მასალების შესაწვლისას ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება და მზაობა წელსაც განახორციელონ მსგავსი პროექტები, ეს კი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ასევე აღსანიშნავია უცხო ენების კათედრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები (მე-6 კლ.-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

„აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციები დიდ ბრიტანეთში“, eTwinning - ის საერთაშორისო პროექტი „ BE GREEN. Stop Climate Changes”, რომელსაც მიენიჭა ეროვნული ხარისხი და საქართველოს მასშტაბით დაიკავა პირველი ადგილი).
დასკვნის სახით, შესაძლებელია ვთქვათ, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს აქტიურად რთავენ შემოქმედებით პროცესში. ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. კერძოდ: კურიკულუმებში გაწერილი თემა არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას. „ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე“- წერია თვითშეფასების ფორმაში. მასწავლებლები სხვადასხვა სახის აქტივობების დახმარებით იკვლევენ რა წინარე ცოდნა გააჩნია მოსწავლეებს. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი და კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც გულისხმობს მეტაკოგნიტური პროცესების განვითარების ხელშეწყობას, პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენციების განვითარებას. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, მათში ჩაშენებული საკვანძო კითხვები, დავალების შესრულების, წარდგენის და პრეზენტაციის შემდგომი შეკითხვები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტ მაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, შემუშავებული აქვს მოქმედების წესები და ასრულებს მას განსაზღვრული თანმიმდევრობით, რაც ხელს უწყობს პირობისეული ცოდნის მიღწევას. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად. კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების დამუშავებას და გააზრებას ცოდნის სამივე კატეგორიაში. ამის მაგალითია დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები და სასწავლო პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. კათედრამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები: მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნილი რესურსები : Minecraft, PowerPoint, ვიდეოები, ელექტრონული წიგნი). ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად. გრძელვადიანი მიზნები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა წინარე და ახალი ცოდნის, სხვა საგნებთან კავშირისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების საშუალებას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. ამისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანთა ინტეგრირება და პროექტული სწავლება. მაგ. უცხო ენების კათედრამ მეოთხე კლასებში განახორციელა პროექტი „სასმელი წყალი და სანიტარია“. პროექტი ყველა საგნის მასწავლებელმა განახორციელა ინტეგრირებულად. საბოლოოდ თითოეულ საგანში შეიქმნა პროდუქტი: კედლის გაზეთი ქართულ-ინგლისურ ენაზე, გამაფრთხილებელი სლოგანები, ლოგოები, მათემატიკური ამოცანები, ბუკლეტები და სხვა. პროექტი ინტეგრირებული იყო საგაკვეთილო პროცესთან. ინდიკატორი 2.2.1.5. **სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- 2023-2024 სასწ.წ. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული პროექტის მასალები (პოსტერები, ვიდეო - კოლაჟები და მისალოცი ბარათები თემაზე How to celebrate Easter In UK", https://www.storyjumper.com/book/read/84760345/Welcome-to-Minecraft; https://sway.office.com/kKRoPWanrIT4ZCaa?ref=Link&loc=play

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია თემები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს, სამიზნე ცნებებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ჩართული იყვნენ ახალი სკოლის მოდელში და წინარე ცოდნა- გამოცდილების გათვალისწინებით გაწერეს სასწავლო პროცესი. სკოლა მზადაა კომპლექსური დავალებების პირობის გააზრებით, საკვანძო შეკითხვების პროვოცირებაზე ორიენტირებული აქტივობებითა და მიღებული პროდუქტის შექმნის პროცესის გასიტყვებით წარმართოს სასწავლო პროცესი, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ინდიკატორი 2.2.2.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული და საკითხები მოცემულია ისეთ კონტექსტში, რომ ხელი შეუწყოს არა მარტო ცოდნის მიღებას, არამედ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. ინდიკატორი 2.2.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა,რომ სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას.
ინდიკატორი 2.2.2.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლის მიერ წამოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. ასევე იყენებენ გასასვლელ ბარათებს; კომპლექსურ ბარათებს მასწავლებლები უგზავნიან მესენჯერ ფეისბუკ ჯგუფებში, ბარათებში მითითებული უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმები, რაც ადასტურებს გამჭვირვალობას. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან იმუშაონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. სკოლაში დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი (V და VI კლასები) 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. ინდიკატორი 2.2.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5. სკოლა მოსწავლეთა შეფასების სისტემის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად იყენებს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესს, რომელიც გაწერილია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი არეგულირებს მოსწავლეთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურებს. ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ ვერფიკაციის მნიშვნელობა და ასევე აპირებენ გამოიყენონ დამეგობრებული ესტონეთის მოდელი, რაც გულისხმობს სავალდებულოდ 3 საგანში დიაგნოსტირებას და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული იქნეა მე-4 საგანი და მოხდება ამ საგნის ფარგლებში მოსწავლეთა შეფასება. ინდიკატორი 2.2.2.5. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

6.…კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები როგორიცაა: გასული წლის ოქმები, ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები, რეფლექსიები, აგრეთვე მოსწავლეთა ელექტრონული ჟურნალი, მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათში ასახული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი 2.2.2.6. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საგნობრივი კურიკულუმები 2023-2024წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ვერიფიკაციის მექნიზმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ელექტრონული ჟურნალი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აღსანიშნავია, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს, როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა, ქმნის დირექტორი, რომელიც, თავის მხრივ, ახალისებს მოქმედების თავისუფლებას, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის შექმნილია განვითარების თანაბარი შესაძლებლობა მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით. პედაგოგები უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებსაც. ნებისმიერი პრობლემა თუ გამოწვევა გუნდური მიდგომით იძლევა. ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ოქმები და რეფლექსიები, სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, იმართება სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტები, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. ინდიკატორი 2.2.3.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან გასაუბრებისას ნათლად ჩანდა, რომ მათთვის პრიორიტეტი არის მოსწავლე და ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად. ამის დამადასტურებელია ფეისბუკ გვერდზე ატვირთული ფოტო და ვიდეო მასალები; ასევე განხორციელებული პროექტები, კათედრები ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს კონსტრუქტივისტული სასწავლო პრინციპის მიხედვით. ასევე სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რაზე დაფუძნებით შექმნილია ისგ-ს დოკუმენტები. მათი გათვალისწინებით მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების ადაპტირება (გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებები) და განხორციელება. მასწავლებლები ერთობლივად თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.
ინდიკატორი 2.2.3.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. კათედრის წევრები რომ მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერაზე, გამოიკვეთა მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრების სხდომის თუ სამუშაო შეხვედრების ოქმებში. კათედრებზე მასწავლებლები (პარალელები) ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ შედეგებს, ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. სკოლაში მოქმედებს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.
ინდიკატორი 2.2.3.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პოზიტიური გარემო და თანამშრომლობითი ურთიერთობები სასკოლო ცხოვრების თითქმის განუყოფელი ნაწილია, რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. ასეთივე კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი ურთიერთობები აქვთ დამყარებული მოსწავლეებთანაც. მათ აქვთ შესაძლებლობა საკუთარი აზრი ღიად, თავისუფლად გამოხატონ, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, მასწავლებლები ცდილობენ კლასში შექმნან მშვიდი გარემო, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს თავისი უნარების განვითარება. ინდიკატორი 2.2.3.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო საათის შინაარსი;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები
- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია არეგულირებს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას. 2023-2024 სასწავლო წელს კურიკულუმის მონიტორინგი განხორციელდება წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხედვით. შედგენილი იქნება კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მათთან გასაუბრებით გამოვლინდება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები. ინდიკატორი 2.3.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმების დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი 2.3.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. სკოლას აქვს წარმოდგენილი მტკიცებულებები, მაგ. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირები კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით. პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა უნდა განსაზღვროს სწავლის პროცესების მიმდინარეობა დაგეგმილი კურიკულუმების ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების მიზნობრიობა სასურველ შედეგთან მიმართებით (შეფასება). ეს გვაფიქრებინებს, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით, რათა დაადგინოს გამოწვევები და ადეკვატურად უპასუხოს მათ. ინდიკატორი 2.3.1.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმი;
- ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირი;
- ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, სკოლა შეფასებას მოახდენს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. კერძოდ, მათ მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, რათა შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ასევე განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რის მიხედვით დიდი როლი ენიჭება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს (დაზუსტება, წახალისება), კათედრების ოქმების მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გასასვლელი ბარათები და სხვა. ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
2. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას. შესაბამისად, მრავალფეროვანი აქტივობები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ინტერვიუსა და წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებმა გაანალიზეს შემდეგი: მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას, რაც უნდა აისახოს კურიკულუმში. ინდიკატორი 2.3.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
3. მოსწავლეები მოცემულ ეტაპზე ფასდებიან შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გამოყენებულ:კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. აღსანიშნავია, რომ სკოლას ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა საშუალებას მისცემს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომის უზრუნველყოფას და თითოეული მეთოდის სუსტი მხარეების დაბალანსებას. კათედრის დონეზე დაწყებით საფეხურზე აკვირდებიან ასევე საგნობრივი კუთხით თითოეული მოსწავლის დინამიკას, რაც მათ ინტერესებს და დამოკიდებულებებს გამოავლენს, ეს საშუალებას აძლევს პედაგოგებს უკეთ დაგეგმონ გაკვეთილები, რათა სწორად მოხდეს თითოეული მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში. ინდიკატორი 2.3.2.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ საგნობრივი კათედრები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული და გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში იყენებენ განმავითარებელ შეფასებას/კომენტარს უმეტესწილად სიტყვიერი ფორმით, ხოლო V- VI კლასებში იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებასაც, განმავითარებელი შეფასება ძირითადად გაიცემა სიტყვიერი ფორმით და საშინაო დავალების რვეულებში სიტყვიერი კომენტარით. ინდიკატორი 2.3.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- შეფასების ინსტრუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ წერია, რომ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. მასწავლებელთა ინტერვიუირებისას წარმოჩნდა, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სავარაუდოდ, მომავალშიც, კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპზე, ითანამშრომლებენ, გააანალიზებენ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, გაცვლიან მონაცემებს და მათი შეჯერების საფუძველზე შექმნიან მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად. ინდიკატორი 2.4.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
2. საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები გაანალიზებული და გამოყენებული იქნება კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა. წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. ინდიკატორი 2.4.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ✓ ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ✓ ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია ის პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები. თუ, როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება კი წლის განმავლობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. სკოლამ წარმოადგინა კათედრების სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა - რაც ადასტურებს კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პასუხისმგებლობას სასკოლო საზოგადოების მიერ. ინდიკატორი 2.1.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლა, როგორც ერთიანი ორგანიზმი, ემსახურება მოსწავლის განვითარებას და პიროვნული ზრდის მხარდაჭერას. ამ პროცესში ჩართულია მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, ერთობლივი მუშაობით იკვეთება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სასწავლო წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი არის სწორედ ის, რაც კურიკულუმს განავითარებს. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მასწავლებელსა და მშობელს შორის ნდობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობებისთვის შემუშავებული აქვთ „მშობელთან ურთიერთობის დებულება“. მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია და მათი ჩართულობა კურიკულუმში კარგად დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესის წინაპირობაა. მოსწავლის ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენციები, ინტერესები კი სწავლის ფუნდამენტია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევას და ასევე იმის განსაზღვრას, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები. ინდიკატორი 2.1.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია თანამშრომლობით პრინციპზე დაყრდნობით, ერთმანეთის აზრისა და გამოცდილების გათვალისწინებით. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას, აცნობენ მშობლებს და ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. საგნობრივი კათედრების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა მასწავლებელი. პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ვინაიდან კურიკულუმი არის სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი მისი შემუშვება ხდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო. თავის მხრივ საბჭოში კი შედიან მშობლები და მოსწავლეთა თვითმართველობის თავჯდომარე. აღნიშნული გარემოება ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას შემუშავების პროცესში. ინდიკატორი 2.1.1.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს: სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა საშუალებითაც ხდება არსებული სასკოლო, საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება სასკოლო თემთან. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებს უზიარებენ ხოლმე შეხვედრების დროს კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს. ხშირად მსჯელობენ. ასევე დამრიგებლის საშუალებით კლასის ფეისბუკ ჯგუფებში უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს, პირობას და შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, რადგან ის არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, რომელიც საჯარო დოკუმენტია. ინდიკატორი 2.1.1.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწ.წ.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული გეგმა
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9 03.10.2023 წ.
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N6 04.10.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. ინდიკატორი 2.1.2.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები. აღსანიშნავია, მასწავლებელთა სურვილი და მონდომება თანმიმდევრულად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ტიპის დავალება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მათ აღქმული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება.

ინდიკატორი 2.1.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. სკოლას საბაზო საფეხურზე გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. როგორც თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები ორიენტირებულია: სასწავლო გარემოს მოქნილობაზე; სწავლის პროცესზე; მრავალფეროვან და მოსწვალეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე; დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე და შეფასების დიაგნოსტიკური დანიშნულებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების როლი სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. საჭიროებისამებრ ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეგულაციები. სკოლაში მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ისგ-ის მუშაობის ხარისხს და აკეთებს დასკვნას. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სკოლა ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე, სწავლების პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მის პროგრესს.

ინდიკატორი 2.1.2.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს შეფასება ეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებების შესაფასებელი კრიტერიუმები გამომდინარებს კონკრეტული დამუშავებული ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში.

ინდიკატორი 2.1.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულ იქნა წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახდენენ კურიკულუმის შინაარსობრივ ცვლილებებს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა მიღწევების, შესაძლებლოებებისა და სურვილების გათვალისწინებით. ეს ეხება კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც წინა წლის გამოცდილების მიხედვით დაიხვეწა და აისახა ახალ კურიკულუმის ჩარჩოში. ყოველი აქტივობა ეფუძნება წინარე ცოდნასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოცდილებას. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. მასწავლებლები ასევე მუშაობენ აღნიშნული ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.2.5. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- VII – IX კლასების კურიკულუმების ჩარჩო
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ რეგულაციები
- ისგ ოქმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მოწოდებულია ყველა კლასში, გაწერილია ესგ სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი (საფეხურის შედეგები, ცნებები) და შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ გამოცდილება კომპლექსური დავალებებით მუშაობისა, 2023-2024 სასწ.წ. კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერეს მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, რომელთა იდეებიდან კარგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის სწავლის პროცესში გააქტიურებას. სკოლის მიერ გაკეთებულ თვითშეფასების ფორმისა და გასულ წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების მიხედვით მოსწავლის ინიციატივების წახალისება დიდ როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში. მაგ. საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით კომპლექსური დავალებები გაწერილია კურიკულუმის ჩარჩოებში და პროდუქტის სახით მოსწავლეები შექმნიან: პოსტერებს, მოდელებს, ბუკლეტებს, ვიდეო მიმართვებს; გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა სასკოლო-სასწავლო პროექტები, სადაც მოსწავლე არის აქტიური შემმეცნებელი და შემოქმედებითად ჩართულია პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. „კურიკულუმის დაგეგმვისა და კომპლექსური დავალების იდეების ჩამოყალიბების პროცესშივე ვითვალისწინებთ საინტერესო თემებს, როგორც მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში“- წერია თვითშეფასების ფორმაში. მასწავლებლები სხვადასხვა სახის აქტივობების დახმარებით იკვლევენ რა წინარე ცოდნა გააჩნიათ მოსწავლეებს. ამისთვის გაკვეთილებზე იყენებენ სხვადასხვა სასწავლო მეთოდს. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი და კომპლექსური დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა მაქსიმალურად წაახალისონ მათი ჩართულობა სასწვლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, შემუშავებული აქვს მოქმედების წესები და ასრულებს მას განსაზღვრული თანმიმდევრობით, რაც ხელს უწყობს პირობისეული ცოდნის მიღწევას. მაგ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კომპლექსური დავალებების პირობა უმეტესწილად ითხოვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის აქტიურ ჩართვას. მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ფიზიკის საგანში მოდელების შექმნა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას მოითხოვს და მოსწავლეს უწევს ცოდნის სამივე კატეგორიასთან შეხება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დროს პროცედურული და პირობისეული შეკითხვების გააზრება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. გარდა ამისა, საბაზო საფეხურზე სკოლა ახორციელებს სასკოლო სპექტაკლებს, პროექტებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ, ისე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე, მოწოდებული განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია.

ინდიკატორი 2.2.1.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5. სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება განსაკუთრებულად კარგად ჩანს საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. ზოგადად სკოლაში შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ხოლო კომპლექსური დავალების პირობები, რომლის განხორციელება იგეგმება თემატური მატრიცების მიხედვით ეტაპებისა და ნიბიჯების შედეგად - ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ საკითხის მიხედვით ცოდნის ურთიერთდაკავშირებას, რისი გამოცდილებაც სკოლას აქვს უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების მიხედვით. ასევე დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განხორციელებული პროექტები, რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას, სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო,რომ ისინი ხელს უწყობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში, ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება- ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.5. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წ. საგნობრივი კურიკულუმები VII,VIII,IX კლასები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კომპლექსური დავალების ბართები;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია თემები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს, სამიზნე ცნებებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი იყვნენ ჩართული ახალი სკოლის მოდელში და წინარე ცოდნა - გამოცდილების გათვალისწინებით გაწერეს სასწავლო პროცესი. მასწავლებლები კომპლექსური დავალებების პირობის გააზრებით, საკვანძო შეკითხვების პროვოცირებაზე ორიენტირებული აქტივობებითა და მიღებული პროდუქტის შექმნის პროცესის გასიტყვებით წარმართავენ სასწავლო პროცესს, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საბაზო საფეხურის კურიკულუმების დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურზე ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში სწორად არის მოცემული სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, არის მცირედი უზუსტობები, რაც სასურველია, რომ გასწორდეს. ასე მაგალითად:

VIII კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში რესურსებში მითითებულია სახელმძღვანელო ავტორის გარეშე. ასევე აღსანიშნავია, რომ თემის ფარგლებში დასამუშავებელი ყველა საკთხის გასწვრივ მისათითებელია სახელძღვანელო/რესურსი გვერდების გათვალისწინებით. IX კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში თემა: სახეობა და პოპულაცია - ში სამიზნე ცნებების შესაბამის საკთხებთან მისათითებელია სახელმძღვანელო/რესურსი გვერდებით.

ფიზიკის საგანში VIII, IX კლასების კურიკულუმში განსაზღვრულია თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები, რომელთა დამუშავება ხდება სწორად შერჩეულ საკითხებში. აღსანიშნავია, რომ თემის ფარგლებში მითითებულია ყველგან რესურსები/ სახელმძღვანელოს და ავტორის მითითებით. წლის განმავლობაში დაგეგმილია 1 კომპლექსური დავალება, რომელიც სწორად არის გაწერილი.

ქიმიის საგანში კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში VIII და IX კლასებში გაწერილია ყველა სავალდებულო თემა, თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შესაბამისობაშია დასამუშავებელ საკითხებთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ კურიკულუმებში მხოლოდ IX კლასში არის კომპლექსური დავალება მითითებული, VIIIკლასში არ არის არცერთი კომპლექსური. რაც მიუთითებს იმაზე, რომ მასწავლებელი ვერ სთავაზობს მოსწავლეებს მრავალფეროვან და საინტერესო გაკვეთილებს. IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოში II-თემა ,,ნავთობი და მისი პროდუქტები“ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და არის მითითებული, კომპლექსური დავალება - საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება, თუმცა არ არის კომპლექსური დავალების შესაბამისი ბარათი. მოცემულია VIII კლასში შესასწავლ თემაზე კომპლექსური ბარათი, რომლის პირობა არ შეესაბამება მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოცემულ ხაზგასმით წარმოსაჩენ მოთხოვნებს, და თან ორჯერ არის მითითებული. ასევე არ ჩანს, ეს კომპლექსური დავალება რომელ სამიზნე ცნებას უკავშირდება, მითითებული სტანდარტის შედეგები არასწორია.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.2.1. **შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული და საკითხები მოცემულია ისეთ კონტექსტში, რომ ხელი შეუწყოს არა მარტო ცოდნის მიღებას, არამედ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. ინდიკატორი 2.2.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლამ შეარჩია შეფასების პირველი მოდელი. სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ, რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებს, კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღსანიშნავია, რომ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ იციან მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მნიშვნელობა, მათ აქვთ შექმნილი შეფასების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) რუბრიკები, შემდეგ საგნებსა და კლასებში :

VIII კლასის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მოწოდებულ თემაში - მექანიკური მოვლენები დასამუშავებელი კომპლექსური დავალება როგორც შუალედური მიზანი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ჭოკით ხტომა) შესაბამისობაშია. მოწოდებულია ასევე იგივე თემის (მექანიკური მოვლენები) დამუშავებისას მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც შეუსაბამოა ჰოლისტურ შეფასებასთან. ასეთია, მაგ:

VIIკლ. ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მოწოდებული შეფასების სქემა, რომელიც არის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, მაგრამ შეუსაბამოა სამიზნე ცნების შესაბამისად, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. მოცემულ რუბრიკაში შესაფასებელი კრიტერიუმები არ არის მოსწავლის მხარდაჭერაზე. შემაჯამებელი ოქმის შესაბამისად განმავითარებელ შეფასებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები იყენებდნენ სოლო ტაქსონომიას, (წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე ნიმუში); იგივე ოქმის შესაბაისად იგეგმებოდა სექტემბრისთვის იგეგმებოდა კომპლექსური დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების შექმნა, თუმცა ბიოლოგიის VII კლასში არ ჩანს როგორ ხდება ჩარჩო დოკუმენტში მოცემული კომპლექსური დავალებები (როგორც შუალედური მიზნების) როგორ გამოიყენება მოსწავლის განმავითარებელი შეფასებისთვის, აღსანიშნავია, რომ უნდა იყოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VIII და IX კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში არ ჩანს მოცემული კომპლექსური დავალებები როგორ გამოიყენება მოსწავლის განმავითარებელი შეფასებისთვის, არ არის მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

VIII კლასებში ქიმიის საგნის პედაგოგის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა არ არის თანხვედრაში კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში სავალდებულო თემის- ჰაერის შესაწავლისას არ მუშავდება შესაბამისი კომპლექსური დავალება; მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია კონტექსტ-მაგალითისთვის - ,,ნახშირორჟანგი სასარგებლო თუ მავნე".

გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე,

ინდიკატორი 2.2.2.3. **შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წამოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, მათ იციან რაში ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. სკოლაში საბაზო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მოქმედებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა.

ინდიკატორი 2.2.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და გვიჩვენებს რამდენად სრულდება სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი მიზნები და მიიღწევა შედეგები. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესში თანმიმდევრულად გაწერილია ვერიფიკაციის მიზანი და მიმართულებები. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაგეგმილსა და განხორციელებულს შორის შესაბამისობის დადგენის მექანიზმები დასახვეწია და გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობას.

ინდიკატორი 2.2.2.5. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

6.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით დამოწმებული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები ინახება კანონმდებლობის დაცვით სკოლაში. შეფასებები განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაცულია ოქმებში. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი 2.2.2.6. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- VII – IX კლასების კურიკულუმების ჩარჩო
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- მასწავლებელთა ინტერვიუ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აღსანიშნავია, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს, როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა, ქმნის დირექტორი, რომელიც, თავის მხრივ, ახალისებს მოქმედების თავისუფლებას, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის შექმნილია განვითარების თანაბარი შესაძლებლობა მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით. საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით აღსანიშნავია, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს ლაბორატორიის მოწყობისთვის ადგილი, სადაც აპირებენ, რომ შექმნან სწავლისთვის შესაბამისი მხარდამჭერი გარემო, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბუნებისმეტყველო საგნებში მაკრო ცნება - კვლევის შედეგებზე გასვლა; თუმცა სკოლის მხარდაჭერით პედაგოგები იყენებენ მოძრავ პროექტორს და აქტიურად სასწავლო პროცესში იყენებენ სიმულაციებს და ვირტუალური ლაბორატორიას. სკოლის პედაგოგები მუშაობენ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრის მიმართულებით, რათა მათთვისაც უზრუნველყონ მხარდამჭერი გარემოს შექმნა; პედაგოგები უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრებს, არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებსაც. ნებისმიერი პრობლემა, თუ გამოწვევა გუნდური მიდგომით იძლევა. ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ოქმები და რეფლექსიები, სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, იმართება სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტები, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.2.3.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან გასაუბრებისას ნათლად ჩანდა, რომ მათთვის პრიორიტეტი არის მოსწავლე და ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად. ამის დამადასტურებელია ფეისბუკ გვერდზე ატვირთული ფოტო და ვიდეო მასალები; ასევე განხორციელებული პროექტები, კათედრები ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს კონსტრუქტივისტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პრინციპის მიხედვით. ასევე სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რაზე დაფუძნებით შექმნილია ისგ-ს დოკუმენტები. მათი გათვალისწინებით მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების ადაპტირება (გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებები) და განხორციელება. მასწავლებლები ერთობლივად თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ინდიკატორი 2.2.3.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას. კერძოდ, კომპლექსური დავალების შექმნისა და განხორციელების პროცესში, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს, შეფასებისას, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას სასკოლო ცხოვრებაში. ასევე რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, რომლის დაგეგმვის და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მის თვითგანვითარებაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ინდიკატორი 2.2.3.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, მოსწავლეების უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული მრავალფეროვანი დავალებებით, შეფასებისას გაცემული კონსტრუქციული უკუკავშირით, რაც განაპირობებს ნდობასა და მიმღებლობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ასევე პოზიტიური კლიმატის მაჩვენებელია სკოლის მიერ გაზიარებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კონფერენციების, შეჯიბრებების, პროექტებისა თუ საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი მასალები. ინდიკატორი 2.2.3.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია და მისი აღჭურვილობა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში, 15.11.2024-მდე, დაასრულოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის შექმნა-აღჭურვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო საათის შინაარსი;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ინტერვიუს შედეგები
- საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია არეგულირებს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას. 2023-2024 სასწავლო წელს კურიკულუმის მონიტორინგი განხორციელდება წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხედვით. შედგენილი იქნება კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მათთან გასაუბრებით გამოვლინდება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ინდიკატორი 2.3.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმების დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი 2.3.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში, ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების საუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ წარმართული სასწავლო პროცესის ანალიზი, სრულყოფილი და ობიექტური შეფასება, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი 2.3.1.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, სკოლა შეფასებას მოახდენს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. კერძოდ, მათ მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, რათა შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ასევე განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რის მიხედვით დიდი როლი ენიჭება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს (დაზუსტება, წახალისება), კათედრების ოქმების მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გასასვლელი ბარათები და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით - განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, უკუკავშირებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით და იძლევა მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. ინდიკატორი 2.3.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან, შეფასების ანალიზის ამსახველი მასალებიდან ჩანს - შეფასება, რომ ვალიდური იყოს, შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისათვის მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, ამიტომ სკოლა თითოეულ საკითხს შეისწავლის მრავალმხრივი მიდგომითა და ტიპური მეთოდების გამოყენებით. მათ შორის მშობელთა და მასწავლებელთა ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუები მოსწავლეთა ჯგუფებთან, ფოკუსჯგუფები, ტესტირება.
ინდიკატორი 2.3.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლეების ინტერესებზე და საჭიროებებზე და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.
ინდიკატორი 2.3.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- შეფასების ინსტრუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ წერია, რომ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. მასწავლებელთა ინტერვიუირებისას წარმოჩნდა, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სავარაუდოდ, მომავალშიც, კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპზე, ითანამშრომლებენ, გააანალიზებენ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, გაცვლიან მონაცემებს და მათი შეჯერების საფუძველზე შექმნიან მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად. ინდიკატორი 2.4.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები გაანალიზებული და გამოყენებული იქნება კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა. წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ინდიკატორი 2.4.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ✓ ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ✓ ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის სასწავლო პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ამ პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. საგნის მასწავლებლები, სოციალური მედიის და მშობლებთან შეხვედრების საშუალებით, სასწავლო წლის დასაწყისში, აცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი რესურსები ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე, პრიორიტეტებზე და შესაძლებლობებზე.
ინდიკატორი 2.1.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კატედრების მიერ შედგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. კერძოდ, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპონენტები: სასწავლო თემები, საკითხები, რესურსები, შერჩეული კომპლექსური დავალებების იდეები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, კოლეგებისა და მშობლების უკუკავშირს, მოსწავლეთა თვითშეფასებას. სკოლაში დამკვიდრებულია ინდივიდუალური და საერთო შეხვედრების (მშობელთა კრებები), სოციალური მედიის საშუალებების (დახურული ფეისბუქ ჯგუფები) მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა სასწავლო მიზნების გაცნობის და მათი განხორციელების პროცესში, უკუკავშირის მიღების მიზნით. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია თუ როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. თავის მხრივ მშობლები უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის.
ინდიკატორი 2.1.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. როგორც უცხოური ენების მასწავლებლებთან გასაუბრების და კათედრის ოქმებიდან ირკვევა, აღნიშნულ პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი. ასევე ხდება სხვა საგნობრივი კათედრების წევრებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ინფორმაციის გაცვლა-გაზიარება. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან). ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცესი უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.1.1.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. კათედრების მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების მასალები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. მასწავლებლებთან გასაუბრების და კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სოციალური მედია, სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მეტად გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.1.1.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწ.წ.;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9 03.10.2023 წ.;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N6 04.10.2023 წ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს ასახულია საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სკოლა მუშაობს მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმების აგებაზე. სიღრმისეული სწავლის უზრუნველსაყოფად, კურიკულუმების შედგენისას, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას (მოსწავლის შეფასების ანალიზზე დაყრდნობით), ეტაპობრივად აწვდიან სასწავლო მასალას, კომპლექსური დავალებებით საფუძვლიანად განიხილება ახალი საკითხების შესაბამისი სამიზნე ცნებები როგორც კოლეგებთან, ისე მშობლებთან (მშობლის ბარათები). კომპლექსური დავალებები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. მასწავლებლებს კარგი გამოცდილება აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების. აღსანიშნავია, რომ საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა ხელოვნებაში. კერძოდ კულტურული მემკვიდრეობის თემები. მოსწავლეებმა პრიოროტეტულად მიიჩნიეს ისეთი საკითხები როგორიცაა ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია და UNESCO - ს სიიდან მისი ამოღების ფაქტი. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თემები იყო შერჩეული მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით და აქტუალურობის მიხედვით, ვინაიდან დღესაც არსებობს არაავთენტური რესტავრაციის ფაქტები. 2022-2024 წელს სასწავლო პროექტი განხორციელდება უკვე მუსიკაშიც. მუსიკაში შერჩეული თემები ახლოსაა მე-9 კლასისს თემებთან და კომპლექსურ დავალებასთან შინაარსობრივად. მოსწავლეებისათვის ახლობელი და გასაგებია მე-20 და 21 საუკუნის პოპ მუსიკისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებები. მასწავლებელმა დაუჭირა მხარი მათ არჩევანს იმის გამო, რომ მათ ადვილად შეძლებოდათ ცხოვრებისეულ კონტექსტებზე გასვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინდიკატორი 2.1.2.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია თემები, საკითხები, ქვესაკითხები რომელიც მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. კურიკულუმებში მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც თავის მხრივ, მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითრებასა და საკითხის სიღრმისეულ გააზრებაზეა მიმართული. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, მაგ: მოქალაქეობაში განხორციელდა პროექტი „კიბერუსაფრთხოება“, ასეთი სახის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების გააქტიურებას. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ რთულია ამ პროცესების თითოეული კომპონენტის თანმიმდევრული შესრულება, მაგრამ აქვთ მზაობა, რომ მეტად მიაქციონ ყურადღება ფუნქციური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი 2.1.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინდივიდუალურ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, სადაც გაწერილია მოსწავლის შესაძლებლობები, შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს. მაგალითისთვის - უცხოური ენების კათედრას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. საგნის მასწავლებელი სპეც-მასწავლებელთან ერთად ადგენს მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესზე მორგებულ კომპლექსურ დავალებას, ზრუნავს, რომ სასაწავლო რესურსები და მასალები ისე შესთავაზოს მოსწავლეს, რომ გაზარდოს მისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და ხელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეეწყოს ცოდნის კონსტრუირებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებელი ახდენს აქტივობებისა და დავალებების დიფერენცირებას, აძლევს მათ არჩევანის გაკეთების საშუალებას. მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები და ი.ს.გ.-ს ნიმუშები ინგლისური, გერმანული და რუსული ენებისთვის. ზოგადად, მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებას, ისე გეგმავენ აქტივობებს, რომ ყველამ შეძლოს საგაკვეთილო პროცესში ჩართვა.

ინდიკატორი 2.1.2.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. საშაულო საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ესგ მიხედვით და ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ძირითადად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც აღწერილია სწავლის შედეგები საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. განმავითარებელ შეფასებას კი ზეპირსიტყვიერად ახორციელებენ დავალების შესრულების დროს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია, მათ აღნიშნეს, რომ ეტაპობრივად შექმნიან შეფასების რუბრიკებს დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელების დროს.

ინდიკატორი 2.1.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5. საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. კათედრებს წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი, მასწავლებლების რეფლექსიები და სემესტრული ანგარიშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები ამ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. 2023-2024 წლისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა, რაშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოიაზრება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლისა და გაზიარების უფრო ინტენსიური გამოყენება. ინდიკატორი 2.1.2.5. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- X-XII კლასების კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ რეგულაციები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის განხორციელების დროს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას კომპლექსური დავალების ბუნება ითვალისწინებს. საგნობრივ კურიკულუმებში შეთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს შემოქმედებითად პროცესებში ჩართვას. მაგ. უცხო ენების კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებების ბარათები, მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, შეფასების რუბრიკები, უცხოური ენების კლუბის აქტივობები ადასტურებს მოსწავლის შემოქმედებით პროცესში აქტიურ ჩართულობას. კათედრა ახორციელებს საკლუბო საქმიანობას. მტკიცებულებად წარმოდგენილია დებატების კლუბის (კარლ პოპერის (1902-1994) სახელობის დებატების ფორმატი) საქმიანობა, სასკოლო პროექტში “ თაობა უფლებებისთვის” აქტიური მონაწილეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუბრების დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ მეტი კომპლექსური დავალება განახორციელონ მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ფიქრობენ, რომ ეს პროცესები მასწავლებლებსაც მეტ გამოცდილებას შესძენს, რაც აისახება სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ მე-10 - 12 კლასებში სასწავლო პროცესი წარიმართება კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებზე დაყრდნობით. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები მიმართულია მოსწავლეებში შინაგან მოტივაციის გააქტიურებისკენ და ხელს უწყობს აქტიურ სწავლას. საშუალო საფეხურის სახელმწიფო ენის კურიკულუმებს არ ახლავს დანართი ახალი თემატური მატრიცების/გეგმების სახით, თუმცა სკოლის მიერ შეგროვებული მონაცემების (შემაჯამებელი დავალებების) აღწერილობით შეიძლება ვივარაუდოთ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ, კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ავალდებულებს მასწავლებელს შეისწავლოს თითოეული მოსწავლის პროგრესი და მიგნებები გაუზიაროს კოლეგებს კათედრაზე, ასევე გამოიყენოს სასწავლო პროცესში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

ინდიკატორი 2.2.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. კათედრების წევრებთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე, სასწავლო პროცესში, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც გულისხმობს მეტაკოგნიტური პროცესების განვითარების ხელშეწყობას, პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენციების განვითარებას. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, მათში ჩაშენებული საკვანძო კითხვები, დავალების შესრულების, წარდგენის და პრეზენტაციის შემდგომი შეკითხვები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. უნარებზე. სახელმწიფო ენის კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს განხორციელებული პროექტების, შესახებ, მაგ.საშუალო საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტებში „ჩემი ქალაქი“, „80-90 იანი წლების ქართული ალტერნატიული მუსიკა“, „ბავშვები მართავენ სკოლას“, „ადამიანის უფლებები“, განიხილავენ კლასგარეშე საკითხავ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ლიტერატურას, დგამენ სასკოლო სპექტაკლებს. სკოლას მოწოდებული აქვს დამადასტურებელი მასალები, განმავითარებელი შეფასებები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე. ინდიკატორი 2.2.1.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, შემუშავებული აქვს მოქმედების წესები და ასრულებს მას განსაზღვრული თანმიმდევრობით, რაც ხელს უწყობს პირობისეული ცოდნის მიღწევას. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად.
ინდიკატორი 2.2.1.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან..**

5. საშუალო საფეხურზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ეს დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით და პროექტული ტიპის აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ახალი პროდუქტის შექმნაზე. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მაგალითად უცხოური ენის ფარგლებში, ხორციელდება ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდა და სხვა საგნის ინტეგრაციას ან/და ეფუძნება საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას. მტკიცებულების სახით, კათედრამ წარმოადგინა დებატების კლუბის მოღვაწეობის დამადასტურებელი მასალა, სასკოლო ინტეგრირებული პროექტი „თაობა უფლებებისთვის" (I-XII კლ.) ასევე აღსანიშნავია, რომ თუმცა უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში არაა გაწერილი ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები, მაგრამ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტებში, დგამენ სასკოლო სპექტაკლებს, რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. სხვა კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში, ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას. ინდიკატორი 2.2.1.5. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასწავლო პროექტები;
- საკლუბო დოკუმენტაცია;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება სასწავლო პროცესის ორიენტაცია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის.

შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

ცალკე აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმების ჩარჩოები, რომელშიც უნდა ჩანდეს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრის წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაყრდნობით. დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე ყველა კლასის X- XI კლასების ბიოლოგიის და ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში სწორად არის მოცემული სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც მითითებულია კურიკულუმის ჩარჩოში კავშირშია გრძელვადიან მიზნებთან. წარმოდგენილია ბიოლოგიის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი კომპლექსური დავალების ბარათები, თუმცა არ არის ცალკე გაწერილი XI კლასში შუალედური მიზნის სახით გაწერილი კომპლექსური დავალების იდეის შესაბამისი ,,სამეცნიერო მოხსენების მომზადება თემაზე მუტაციების როლი სიმსივნის განვითარების პროცესში და ტარგეტული თერაპია“ ბარათი, რომლის პირობა დაეხმარებოდა მოსწავლეს სამიზნე ცნებების დამუშავებას.

ქიმიის X - კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებებთან სწორად არის გაწერილი ქვეცნებები, საკთხები და მითითებულია ასევე რესურსები/სახელმძღვანელო ავტორის მითითებით.

ხარვეზი: სკოლას არ წამოუდგენია XI კლასის ქიმიის საგნის კურიკულუმი, ამიტომ ვერ დგინდება, თუ რამდენად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესი სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე,

ინდიკატორი 2.2.2.1. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტსა თუ აქტივობაში, რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მაგალითად, სკოლაში წიგნიერების მიმართულებით მოქმედებს მკითხველთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლუბი, მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლათშორის პროექტებში (ხაშურისა და თბილისის სკოლებთან) დაჯილდოებული არიან წიგნებით სკოლის ფოიეში ღია ბიბლიოთეკის მოსაწყობად. პერიოდულად სკოლაში იმართება შეხვედრები მწერლებთან, სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტები, ფუნქციონირებს დებატების კლუბი. პროექტული სწავლება, რომელიც სკოლას ჰქონდა მუსიკაში მეათე კლასში დოკუმენტის სახით სკოლას არ წარმოუდგენია, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ განხორციელებული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, პროექტებით სწავლებისას, მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის განწყობასა და მზაობას თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა, სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

ინდიკატორი 2.2.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლამ შეარჩია შეფასების პირველი მოდელი. სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ, რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებს, კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებისას საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. მაგრამ, არ აქვთ გადმოგზავნილი არცერთი ნიმუში X-XI კლასის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა. ბიოლოგიის საგანში წარმოდგენილია წინა სასწავლო წლის სოლო -ტაქსონომიებით შეფასების ნიმუში, რომელიც XI კლასის ერთ-ერთი კომპლექსურ დავალებას აფასებს. ის, რომ პედაგოგებს აქვთ ამგვარი შეფასება, დასტურდება შემაჯამებელი ოქმით. აღსანაშნავია, რომ პედაგოგებმა იციან ამ რუბრიკების შექმნა და მათი საშუალებით გრძელვადიანი მიზნების შეფასება, რადგან იგივე პედაგოგები არიან საბაზო საფეხურზე და იმ კონკრეტული კლასებისთვის ჰქონდათ წარმოდგენილი.

ხარვეზი: სკოლას არ წარმოუდგენია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) საგნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების არცერთი რუბრიკა, რომელიც სტანდარტის შესაბამისად შეაფასებს გრძელვადიან მიზნებს. შეფასების რუბრიკებში გაწერილი სამიზნე ცნება/ქვეცნება თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.2.3. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლას საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია

შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი -კონსტრუქციული უკუკავშირი თუ შედეგების ინდიკატორებზე მორგებული

შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, მათ იციან რაში ფასდებიან , თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. კათედრები მზად არიან შეიმუშაონ უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა.

ინდიკატორი 2.2.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან..**

5. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და გვიჩვენებს რამდენად სრულდება სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი მიზნები და მიიღწევა შედეგები. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესში თანმიმდევრულად გაწერილია ვერიფიკაციის მიზანი და მიმართულებები. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაგეგმილსა და განხორციელებულს შორის შესაბამისობის დადგენის მექანიზმები დასახვეწია და გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობას.

ინდიკატორი 2.2.2.5. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

6.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით დამოწმებული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები ინახება კანონმდებლობის დაცვით სკოლაში. შეფასებები განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაცულია ოქმებში. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.2.2.6. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- X– XII კლასების კურიკულუმების ჩარჩო
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- მასწავლებელთა ინტერვიუ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აღსანიშნავია, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს, როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა, ქმნის დირექტორი, რომელიც, თავის მხრივ, ახალისებს მოქმედების თავისუფლებას, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის შექმნილია განვითარების თანაბარი შესაძლებლობა მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით. საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით აღსანიშნავია, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს ლაბორატორიის მოწყობისთვის ადგილი, სადაც აპირებენ, რომ შექმნან სწავლისთვის შესაბამისი მხარდამჭერი გარემო, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბუნებისმეტყველო საგნებში მაკრო ცნება - კვლევის შედეგებზე გასვლა; თუმცა სკოლის მხარდაჭერით პედაგოგები იყენებენ მოძრავ პროექტორს და აქტიურად სასწავლო პროცესში იყენებენ სიმულაციებს და ვირტუალური ლაბორატორიას. სკოლის პედაგოგები მუშაობენ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრის მიმართულებით, რათა მათთვისაც უზრუნველყონ მხარდამჭერი გარემოს შექმნა; პედაგოგები უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრებს, არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებსაც. ნებისმიერი პრობლემა, თუ გამოწვევა გუნდური მიდგომით იძლევა. ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ოქმები და რეფლექსიები, სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, იმართება სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტები, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.2.3.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან გასაუბრებისას ნათლად ჩანდა, რომ მათთვის პრიორიტეტი არის მოსწავლე და ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად. ამის დამადასტურებელია ფეისბუკ გვერდზე ატვირთული ფოტო და ვიდეო მასალები; ასევე განხორციელებული პროექტები, კათედრები ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს კონსტრუქტივისტული სასწავლო პრინციპის მიხედვით. ასევე სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რაზე დაფუძნებით შექმნილია ისგ-ს დოკუმენტები. მათი გათვალისწინებით მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების ადაპტირება (გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებები) და განხორციელება. მასწავლებლები ერთობლივად თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.3.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას. კერძოდ, კომპლექსური დავალების შექმნისა და განხორციელების პროცესში, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს, შეფასებისას, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას სასკოლო ცხოვრებაში. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, რომლის დაგეგმვის და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მის თვითგანვითარებაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ინდიკატორი 2.2.3.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, თუ პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, მოსწავლეების უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული მრავალფეროვანი დავალებებით, შეფასებისას გაცემული კონსტრუქციული უკუკავშირით, რაც განაპირობებს ნდობასა და მიმღებლობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ასევე პოზიტიური კლიმატის მაჩვენებელია სკოლის მიერ გაზიარებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კონფერენციების, შეჯიბრებების, პროექტებისა თუ საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი მასალები. ინდიკატორი 2.2.3.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია და მისი აღჭურვილობა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში, 15.11.2024 -მდე, დაასრულოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის შექმნა-აღჭურვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო საათის შინაარსი;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ინტერვიუს შედეგები
- საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია არეგულირებს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას. 2023-2024 სასწავლო წელს კურიკულუმის მონიტორინგი განხორციელდება წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხედვით. შედგენილი იქნება კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მათთან გასაუბრებით გამოვლინდება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ინდიკატორი 2.3.1.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმების დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი 2.3.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში, ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების საუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ წარმართული სასწავლო პროცესის ანალიზი, სრულყოფილი და ობიექტური შეფასება, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი 2.3.1.3. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, სკოლა შეფასებას მოახდენს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. კერძოდ, მათ მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, რათა შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ასევე განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რის მიხედვით დიდი როლი ენიჭება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, კომენტარს (დაზუსტება, წახალისება), კათედრების ოქმების მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გასასვლელი ბარათები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.3.2.1. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით - განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, უკუკავშირებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით და იძლევა მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. ინდიკატორი 2.3.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან, შეფასების ანალიზის ამსახველი მასალებიდან ჩანს - შეფასება, რომ ვალიდური იყოს, შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისათვის მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, ამიტომ სკოლა თითოეულ საკითხს შეისწავლის მრავალმხრივი მიდგომითა და ტიპური მეთოდების გამოყენებით. მათ შორის მშობელთა და მასწავლებელთა ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუები მოსწავლეთა ჯგუფებთან, ფოკუსჯგუფები, ტესტირება.
ინდიკატორი 2.3.2.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლეების ინტერესებზე და საჭიროებებზე და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.
ინდიკატორი 2.3.2.4. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის ოქმები;
- შეფასების ინსტრუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ წერია, რომ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. მასწავლებელთა ინტერვიუირებისას წარმოჩნდა, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სავარაუდოდ, მომავალშიც, კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპზე, ითანამშრომლებენ, გააანალიზებენ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, გაცვლიან მონაცემებს და მათი შეჯერების საფუძველზე შექმნიან მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად. ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
2. საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები გაანალიზებული და გამოყენებული იქნება კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა. წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.
ინდიკატორი 2.4.1.2. **შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თარიღი 21.11.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---